ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №858360

ნომერი: AR1154174

თარიღი : 12.08.2013

გაცემის თარიღი : 21.08.2013

გაცნობის თარიღი : 02.09.2013

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა კოსტავა , N 69 , (ნაკვ. 4/37) ;

დამკვეთი-განმცხადებელი
- იმედა კურტანიძე პ/ნ 25001006428
- ლაგოდეხი ს. ვარდისუბანი

ორგანიზაცია:
- შპს ,,ჯიდი მაქსი" კოდი: 406058714

ნომენკლატურა :

- მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოები (ექსტერიერისა და ინტერიერის სარესტავრაციო, სარემონტო და გაწმენდის სამუშაოები)
- II კლასი
- ძეგლზე ჩასატარებელი სამუშაოები
- მშენებლობის ნებართვა

.დამკვეთის ინფორმაცია.:

- .დამკვეთ(ებ)ის სახელი და გვარი.: იმედა კურტანიძე
- .დამკვეთ(ებ)ის პირადი ნომერი.: 25001006428

.კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის არქიტექტურული პროექტი:

- .მთავარი არქიტექტორის/სპეციალისტი სახელი და გვარი.: ვაკო ვარამაშვილი

"კულტურული მემკვიდრეობის შესახებ" საქართველოს კანონის 55 პრიმა მუხლის მეორე პუნქტის თანახმად, ქალაქ თბილისის ტერიტორიაზე განლაგებულ კულტურული მემკვიდრეობის ძეგლზე სამუშაოების ჩატარების სამართლებრივი საფუძველია კულტურული მემკვიდრეობის ძეგლზე სამუშოების ნებართვა, რომელსაც გასცემს ქალაქ თბილისის მერია ქალაქ თბილისის მერიისა და ს სამისიტროს წარმომადგენელთაგან ქალაქ თბილისის მერიაში შექმნილი სათათბირო ორგანოს დასკვნის საფუძველზე. საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსა და ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის წარმომადგენელთაგან ქალაქ თბილისის მერიაში შექმნილი სათათბირო ორგანოს გაერთიანებული სამეცნიერო–მეთოდური საბჭოს დებულების მე–3 მუხლის პირველი პუნქტის "ბ" ქვეპუნქტის შესაბამისად განაცხადი და თნდართული დოკუმენტაცია განსახილველად წარედგინა საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსა და ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის წარმომადგენელთაგან ქალაქ თბილისის მერიაში შექმნილ სათათბირო ორგანოს – გაერთიანებულ სამეცინერო– მეთოდურ საბჭოს (ოქმი N32 13.08.2013 წ.), რომლის დასკვნის საფუძველზეც უარი ეთქვა ქ. თბილისში, მ. კოსტავას ქ. N69–ში (ძეგლი) არსებულ შენობაზე სარეკლამო ბანერების მოწყობისა და ფასადის შეღებვის წარმოდგენილ პროექტს. რეკომენდაცია: უმჯობესია აღდგეს არსებული აგურის ფასადი. სამსახურმა გაითვალისწინა საბჭოს დასკვნა და გადაწყვიტა, რომ განმცხადებელს, მოქ. ი. კურტანიძეს უარი უნდა ეთქვას თხოვნის დაკმაყოფილებაზე.

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "კულტურული მემკვიდრეობის შესახებ" საქართველოს კანონის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

ვბრძანებ

1. უარი ეთქვას, მოქ. ი. კურტანიძეს, ქ. თბილისში, მ. კოსტავას ქ. N69–ში (ძეგლი) არსებულ შენობაზე სარეკლამო ბანერების მოწყობისა და ფასადის შეღებვის წარმოდგენილი ესკიზური პროექტის შეთანხმების თაობაზე.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.